

ნანა ქადარია

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

nana.kadaria@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.84>

თეოფანე ჟამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ქართველი მთავრის იდენტიფიკაციისათვის

საკვანძო სიტყვები: თეოფანე ჟამთააღმწერელი, „ქრონოგრაფია“, იბერიელი მთავარი
ბარსამუსე/ვარსამუსე.

საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნობებს აფიქსირებს არაერთი უცხოელი ავტორი. ერთ-ერთი ასეთია VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ბიზანტიელი თეოფანე ჟამთააღმწერელი იგივე აღმსარებელი, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „ქრონოგრაფია“. „მართალია, თეოფანე თავისი ძირითადი საქმიანობით (როგორც ბერი და „ღვთისმეტყველი“) ისტორიკოსი არ ყოფილა და საისტორიო თხზულების წერისათვის ხელის მოკიდება ერთგვარ შემთხვევითობას მიეწერება (მისი მეგობრის, გიორგი სინგელოზის, თხოვნის ასრულებას), მაგრამ ის ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოღვაწეა, განსაკუთრებით როგორც წყარო VII – VIII საუკუნეთა ისტორიისათვის, ვინაიდან ამ ეპოქისათვის, რომელსაც ახასიათებს ძირითადი ძრვები ბიზანტიის სახელმწიფო ცხოვრებაში ერთის მხრით არაბთა შემოსევასთან, ხოლო მეორე მხრით სახატისმებრძოლო მოძრაობასთან დაკავშირებით, ჩვენ სხვა წყაროები არ მოგვეპოვება“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 1941, ტ. 4, ნაკვ. 1 71–72)

ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის თეოფანე საქართველოს შესახებაც. ერთ-ერთი ცნობა შეეხება ვინმე იბერიელი მთავრის ბარსამუსეს/ვარსამუსეს ტყვედ აყვანას ჰერაკლე კეისრის მიერ ნინევიასთან ბრძოლაში 627 წელს: „რომაელებმა ხელთ იგდეს მრავალი მახვილი, მთლიანი ოქროსი, ოქრომკედით მოქარგული სარტყლები, მარგალიტები, რაზატის ფარი, მთლად ოქროსი და ასოციფურცლის მქონე, მისივე აბჯარი, მთლიანი ოქროსი, აგრეთვე წაიღეს მისი სკარამანგი მის თავთან ერთად, მისი სამაჯურები და ოქროს სკამი. ხოლო ვარსამუსე, სპარსელების ქვეშევრდომი იბერიელთა მთავარი, ცოცხლად იგდეს ხელთ“ (ყაუხჩიშვილის თარგმანი, გეორგიკა, ტ. 4, ნაკვ. 1, გვ. 100–101. შდრ. ინგლისური თარგმანი: „The Romans took many gold swords and gold belts set with pearls, and the shield of Razates, which was all of gold and had 120 laminae, and his gold breastplate; and they brought in his caftan together with his head, and his bracelets and his gold saddle. And Barsamouses, the prince of the Iberians who are subject to Persia, was taken alive“ The Chronicle of Theophanes Confessor. Translated with Introduction and Commentary by C. Mango and R. Scott with the assistance of G. Greatrex, Clarendon Press • Oxford 1997 p. 450)

აღნიშნული მთავრის ვინაობის გარკვევის საკითხმა დააინტერესა არაერთი მკვლევარი. შესაბამისად გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი. მაგალითად, ი. მარკვარტი

(1864 – 1930) რომელიც თეოფანეს ცნობის პარალელურად, მოვსეს კალანკატვაცის (X ს.) მატთან დაეყრდნო, ვარსამუსე, გუგარქის ბდეშად (ქვემო ქართლის პიტიახშად) მიიჩნია და სახელი „ვარსამუსე“ „ვარჰამ - აშუშა“ - თი ჩაანაცვლა. „Ich glaube keinem Widerspruch zu begegnen, wenn ich die Vermutung aufstelle, dass βαρσαμυς ავς βαραμ <α>αουσე – Warham – asusaj verschrieben sei und wir hier einen bdeasach von Gugark' vor uns haben. Die Versuchung liegt dann nahe genug, ihn mit dem oben- genannten Wahram Gleichzusetzen“ - (J. Marquart, Eastern European and East Asian Forays, 2nd univranded edition, Darmstadt, 1961:394) („არამგონია რაიმე წინააღმდეგობას წავაწყდე, თუ ვივარაუდებ, რომ βαρσαμυς ავς βαραμ <α>αουσე - ვარჰამ არშუშათი შეიცვალა და აქ გვყავს ბდეშში გუგარქიდან. მაშინ ცდუნება იმდენად დიდია რომ ის ზემოხსენებულ ვარჰამთან შეიძლება გაიგივდეს“.)

კ. თუმანოვი არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა ამ მოსაზრებას და თეოფანე ჟამთააღმწერელის მიერ მოხსენიებულ ვარსამუსეს გოგარენეს პიტიახშ, ვაჰრამ არშუშა მეხუთედ მიიჩნევდა (C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, Georgetown, 1963, p, 263).

ი. ჯავახიშვილმა, ძველ სომეხ ისტორიკოს მოვსეს კალანკატვაცზე (X ს.) დაყრდნობით, ვარსამუსე სპარსთა მიერ დაყენებულ იბერთა მთავარად მიიჩნია. ის სახელის მარკვარტისეული წაკითხვის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა, თუმც მიუთითებდა, რომ ასეთი რამის დაშვება სულაც არ იყო ლოგიკურად აუცილებელი (ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1979, ტ. I, გვ. 306).

პრობლემის კვლევას სტატია მიუძღვნა ვ. გოილაძემ. მან, პირველ რიგში, განიხილა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ დაფიქსირებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ვარსამუსე ქართლის ერისმთავარად იყო მიჩნეული. მკვლევარმა გააკრიტიკა ეს თვალსაზრისი. ამავე დროს არსებითად არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ ვარსამუსე გუგარქის პიტიახშია. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სომხურ წყაროში „ეპისტოლეთა წიგნში“ სწორედ მეშვიდე საუკუნის დასაწყისი წლებისათვის იხსენება მთავარი აშუშანი, რომელიც, სავარაუდოდ, პიტიახშია (გოილაძე, „არის თუ არა თეოფანე ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ქართლის ერისმთავარი“, - მაცნე, ისტორიის სერია, 1976, #1, გვ. 134–140)

მაგრამ, როგორც ირკვევა, თეოფანეს მიერ მოხსენიებული ვარსამუსეს გაიგივება „ეპისტოლეთა წიგნის“ აშუშანთან, მართებული არ არის. „ეპისტოლეთა წიგნში“ წარმოდგენილი მთავარ აშუშანის იდენტიფიკაციას და პოლიტიკური პორტრეტის რეპრეზენტაციას ბოლო ხანებში გამოკვლევა მიუძღვნა მ. ჩხარტიშვილმა (მ.ჩხარტიშვილი. მთავარ აშუშანი: შტრიხები პორტრეტისათვის, ქრონოსი, 2023, #4, გვ. 65–91); მისი გამოკვლევის მიხედვით აშკარაა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ მიერ დაფიქსირებული აშუშანი არაა პროსპარსული ორიენტაციის პოლიტიკოსი, მაშინ როცა ნინევიასთან ტყვედ აყვანილი ქართველი მთავარი ირანის მხარეზე მეზრძოლია. ამგვარად, თეოფანეს მიერ მოხსენიებული მთავრის ვინაობის გარკვევის საკითხი ღიად რჩება.

ა. ბოგვერაძე არ გამორიცხავს, რომ ვარსამუსე იბერიელი მთავარი ყოფილიყო, რომელიც ირანელთა მიერ იქნა დანიშნული გაძევებული ადარნასეს ნაცვლად. (ა.ბოგვერაძე - „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV – VIII საუკუნეებში“ მეცნიერება, თბილისი, 1979 გვ. 90)

მ. სანაძეს ქართლის მთავრად მიაჩნია ვარსამუსე და იქვე გვამლევს ამგვარ განმარტებას: ვარსამუსა ფონემა „შ“-ს უქონლობის გამო, ბერძნული დამახინჯებაა. ქართლის პიტიახშების ოჯახში ხშირად ხმარებული საახელი „არშუშა“-სი, რომელსაც წინ დართული აქვს სპარსულ სამყაროში ფრიად გავრცელებული და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ეპითეტი ვარაზ/ვარზ (არაა გამორიცხული, ეს იყოს შაჰის მიერ საგანგებოდ მინიჭებული წოდება-ტიტული). სახელის სპარსული დაუმახინჯებელი ფორმა იქნება - ვარ(ა)ზ-არშუშა (ეს მოსაზრება გაგვიზიარა ირანოლოგმა მირიანაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ). სახელი აშკარად გვიჩვენებს, რომ ადარნასეს გაძევების შემდეგ სპარსელებმა კვლავაც ქართლის სასანიანთაგან ქვეყნის მმართველად ქართლის პიტიახშთა - ფეროზიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი დააყენეს, რომელიც, სავარაუდოდ, სპარსეთის მხრიდან ქართლის მმართველად თბილისში დაყენებული გურგენ II-ს შვილი ან შვილიშვილი უნდა იყოს. ვარ(ა)ზ-არშუშა თბილისში იჯდა და როგორც სპარსეთის მხრიდან დანიშნული მმართველი, ქართლს (ყოველ შემთხვევაში, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა) ხაზართა მიერ თბილისის აღებამდე (627 წ.) განაგებდა. (მ.სანაძე „ქართველთა ცხოვრება, წიგნი III - ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია“ გვ.414, თბილისი, 2016)

მ. სანაძის მოსაზრებას, რომ ვარსამუსე შეიძლება იყოს ქართლის ერისმთავრის შვილი ან შვილიშვილი, დამაჯერებლობისთვის მეტი მტკიცებულება სჭირდება რაც არ ჩანს მის ნაშრომში.

ვარსამუსეს ვინაობასთან დაკავშირებით ვიდრე ჩემეულ ხედვას და ისტორიულ რეპრეზენტაციას წარმოვადგენდე, მანამდე ლინგვისტური კუთხითაც უნდა განვიხილო ეს საკითხი. მოვიყვან ფრაგმენტს გიორგი წერეთლის ნაშრომიდან, - „საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის“ რაც დაგვეხმარება საკითხის სწორად გააზრებაში.

III ს-ის ნაყშე რუსთამის არქეოლოგიურ ზონაში აღმოჩენილ შაპურ I-ის სამეწოვან, პართულ-ფალაურ-ბერძნულ წარწერებიდან გამოარკვია, რომ წარწერის ფალაურ ვერსიაში იკითხება „ამაზასპ ვირშანი“. მისი პარალელური ბერძნული წარწერა კი ასე იკითხება Αμασασπον του βασιλεως της Περσιος - ამაზასპ მეფე იბერიის. - ამგვარად, სამეწოვანი წარწერის გაშიფრვით გაირკვა, „ვირშანი“ ფალაური ენით ქართლ რომაა. („საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ გვ. 92 – 104. რედაქტორი გიორგი პაიჭაძე, მეცნიერება 1993)

ახლა კი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს თეოფანეს ქრონიკაში ნახსენები ვარსამუსე. როგორც ვნახეთ, ყველა კვლევა, რომელიც განხორციელდა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა მიერ, მიმართული იყო იმის დასადგენად, თუ რა შეიძლებოდა რქმეოდა და რომელი „ივერიელი მთავარი“ უნდა ყოფილიყო ვარსამუსე: ვ. გოილაძე და ა. ბოგვერაძე მარკვარტის შეხედულებაზე დაყრდნობით შეჯერდნენ იმაზე, რომ ვარსამუსე ქვემო ქართლის პიტიახში - „ვარჰამ აშუშა“ა, ხოლო მ. სანაძეს ვარსამუსე წარმომავლობით ფეროზიანად, გუარამ ქართლის ერისმთავრის, შვილად ან შვილიშვილად მიაჩნია. თუმც ყველა ეს თვალსაზრისი, არსებითად ვარაუდია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ღიად რჩება და შემდგომ ანალიზს საჭიროებს.

ჩემი აზრით, პრობლემა ისაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევრები არ, ან არასწორად ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას; ერთი, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი სარგებლობდა იმ შრომებით, რომელიც მას ერგო გიორგი სინგელოსის (+ 810)

გარდაცვალების შემდეგ, თანაც არც გიორგი სინგელოსია უშუალოდ იმ ამბების მომსწრე .

ჩემი შეხედულებით, ვარსამუსეს ვინაობის (და არა სახელის) დამდგენის გასაღები მდგომარეობს ბერძნული ენის თავისებურების გათვალისწინებაში . საქმე ისაა, რომ ბერძნულში არ არის ასო-ბგერა „შ“ და მის ნაცვლად გამოიყენება „ს“. სწორედ აქედან გამომდინარე, ნაცვლად „ვარსამუსე“-სი უნდა ვკითხულობდეთ სიტყვებს „ვრშან მუშე“. „ვრშან მუშე“ კი ახლოსაა გ. წერეთლისეულ წაკითხვასთან, „ვირშანი“. სიტყვის, „ვირშანი“-ს წაკითხვა, ოღონდ ხმოვანი „ი“-ს გარეშე, - „ვრშანი“ მოცემული აქვს რუს ირანისტს ვ.ლუკონინს. მან „ქააბე ზოროასტრის“ წარწერების გაშიფრვით ცნობილი გახადა, რომ ირანის შაჰს დაქვემდებარებული პროვინციებსა და ქვეყნების ჩამონათვალში ფიქსირდება ქვეყანა „ვრშანი“ რომელსაც თავისი მეფე ჰყავს. (В. Г. Луконин „Древний и ранесредневекови Иран“ М. 1987г. გვ.219)

ახლა რაც შეეხება ბერძნული ენაზე წაკითხვის შემთხვევაში სახელის მეორე ნაწილს, „მუსე“-ს, რომელიც ისევე როგორც პირველი ნაწილი „ვარსა“ „შ“ ფონემით უნდა წავიკითხოთ. მივიღებთ „ვრშან მუშე“-ს. სიტყვა -„მუშე“, სახელია თუ რაიმე წოდების აღმნიშვნელი ტერმინი, ამის გარკვევაში ფალაური ენიდან წარმომდგარი მამაკაცთა სახელთა მნიშვნელობა დაგვეხმარება.

სახელი „მუშე“ პართული წარმომავლობისაა, საიდანაც შემდეგ გადავიდა ფალაურ -საშუალო სპარსულ ენაში, იქიდან კი ძველ სომხურში. რომელიც დღესაც გამოიყენება, როგორც მამაკაცის სახელი და განიმარტება როგორც „აღმატებული“. <https://www.astromeridian.ru/imya/musheg.html>

ამგვარად, დასაშვებად მიმაჩნია თეოფანე ჟამთააღმწერლის მიერ მიერ მოცემულ სახელი წავიკითხოთ როგორც „ვრშანის ქვეყნიდან აღმატებული“ ანუ აღმატებული ქართლის ქვეყნიდან. უფრო შორს თუ წავალთ და ვიკითხავთ, ვინ შეიძლება ყოფილიყო აღმატებული ქართლის ქვეყნიდან, პასუხი ნათელია, „აღმატებული“ უპირველესად ქვეყნის მმართველთა მიმართ წოდებას ესადაგება.

ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს ქართლის ერისმთავრის სახლიდან გამოსულ პრინცთან, კონკრეტულად, თუ რომელთან ამის დადგენა ამ წყაროთი შეუძლებელია. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, როცა ხაზარებმა თბილისი აიღეს (627 წ.) მაშინ სიკვდილით დასაჯეს თბილისის დამცველი ორი დიდებული. ერთი, ირანული გარნიზონის სარდალი, მეორე კი ქრისტიანობისგან გამდგარი, თუმცა სამართლებრივად ორმაგ (ირანელთა და რომაელთა) დაქვემდებარებაში მყოფი ერისმთავარი სტეფანოზი, რომელიც ერისმთავრის ტახტს ხოსროს (ხოსრო II 570 - 628) წყალობით დაეუფლა 614 წელს. შაჰის წყალობით ხელისუფლებაში მოსული ვალდებული, რომ იქნებოდა მის წინაშე, მგონი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ მან ნინევიის დასაცავად ბრძოლაში, თავისი ძე გაეგზავნა, რომელიც ირანელთათვის „ვრშან მუშე“-დ ანუ პირდაპირი მნიშვნელობით - „ქართლის ქვეყნიდან აღმატებული“ - ად იწოდებოდა და ასეც იყო ცნობილი რომაელთათვის.

ამგვარად, თეოფანესეული - „არხოტი“ „ვარსამუსე“, თბილისის დაცვისას ტყვედ ჩავარდნილი სტეფანოსის ძე უნდა იყოს, რომლის სახელი მატთანმ სამწუხაროდ არ შემოგვინახა .

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ იხსენიებს თეოფანე „ვარსამუსეს“ არხოტად და არა არხოტის ძედ, ამას შეიძლება შემდეგი ახსნა მიეცეს; თეოფანე არის ძველი

თხზულების გადამწერი-გადამამუშავებელი და იქ სადაც შეიძლებოდა წერებულის იბერიელი არხოონტის ძე, მან მეტი სიმძაფრის მისაცემად, სიტყვა „ძე“ გამოტოვა და „ვარსამუსე“ არხოონტად მოიხსენია.

ამრიგად, ჩატარებული კვლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა: ა) არა ჩანს მართებული ნინევიასთან ტყვედ ჩავარდნილი „იბერიელი არხოონტი“ ვარსამუსე მივიჩნიოთ ქვემო ქართლის პიტიახშ ვარჰამ არშუშად. ვარსამუსე არაა საკუთარი სახელი. ჩვენს ხელთ არსებული წყაროს ფალაურ დედანში, სავარაუდოდ, იკითხებოდა „ერშან მუშე“ („აღმატებული ქართლის ქვეყნიდან“), რაც, შეცდომით, თეოფანე ჟამთააღმწერელმა მამაკაცის საკუთარ სახელად მიიჩნია; ბ) ისტორიული რეალების გათვალისწინებით, „აღმატებული ქართლის ქვეყნიდან“ უნდა იყოს ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ I-ის (614 – 627) ძე.

Nana Kadaría

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

nana.kadaria@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.84>

On Identification of Georgian Prince Mentioned by Theophanes the Confessor

Abstract

Many foreign authors have contributed significant insights into the history of Georgia. Among them is the Byzantine chronicler Theophanes the Confessor, who lived at the turn of the eighth and ninth centuries and authored the work *Chronographia*. While Theophanes was not primarily a historian—his primary roles were as a monk and theologian—his engagement with historical writing is considered somewhat incidental, stemming from a request by his friend George Syncellus. Nevertheless, Theophanes holds a prominent place in Byzantine historiography, particularly as a vital source for understanding the 7th and 8th centuries. We lack other sources for this period, which was marked by profound upheavals in Byzantine state affairs, driven by the Arab invasions on one hand and the Iconoclastic Controversy on the other” (S. Kaukhchishvili, *Georgika*, 1941, vol. 4, pp. 171–172).

Theophanes also provides numerous fascinating details about Georgia. One such account recounts the capture of an Iberian prince, Barsamouses//Varsamouses, by Heraclius Caesar during the Battle of Nineveh in 627: *"The Romans took many gold swords and gold belts set with pearls, and the shield of Razates, which was all of gold and had 120 laminae, and his gold breastplate; and they brought in his caftan together with his head, and his bracelets and his gold saddle. And Barsamouses, the prince of the Iberians who are subject to Persia, was taken alive"* (*The Chronicle of Theophanes Confessor*, translated with introduction and commentary by C. Mango and R. Scott, with the assistance of G. Greatrex, Clarendon Press, Oxford, 1997, p. 450).

The question of identifying this prince has attracted the attention of numerous researchers, leading to various interpretations. For instance, I. Markwart argued that Theophanes the Confessor had misrepresented the name of the Iberian prince. According to Markwart, the name should not

be Barsamouse//Varsamouse but rather Vahram-Ashushan, whom he identified as the Bidaxsh of Kvemo Kartli (Markwart, *Streifzüge*, pp. 432, 387, n.1). K. Toumanoff largely agreed with this view, identifying Vahram-Ashushan as the Bidaxsh of Gogarene (Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, Georgetown, 1963, p. 263). However, I. Javakhishvili did not dismiss the possibility of Markwart's interpretation but noted that such an assumption was not logically necessary (I. Javakhishvili, *History of the Georgian Nation*, Tbilisi, 1979, vol. I, p. 306).

The discussion by the aforementioned researchers constitutes a concise factual note. The issue, however, was the subject of a dedicated study by V. Goiladze (Goiladze, "Is Varsamouse Mentioned in Theophanes the Confessor the Chintain of Kartli" *Herald of the Georgian Academy of Sciences, History Series*, 1976, no. 1, pp. 134–140). In his article, Goiladze addressed the perspective presented in *Essays on the History of Georgia*, which identified Varsamouse as the Chintain of Kartli. He criticized this interpretation while simultaneously not ruling out the possibility that Varsamouse could be the Bidaxsh of Gugarkh. Goiladze further highlighted that the Armenian source *Book of Epistles* references a prince Ashushan at the beginning of the seventh century, who is presumably identified as a Bidaxsh.

However, it appears that the identification of Varsamouse, mentioned by Theophanes, with the Ashushan referenced in the *Book of Epistles* is incorrect. The political role and identity of Prince Ashushan, as depicted in the *Book of Epistles*, have been recently analyzed by M. Chkhartishvili (M. Chkhartishvili, "Prince Ashushan: Strokes to the Portrait," *Chronos*, 2023, no. 4, pp. 65–91). This study reveals that the Ashushan mentioned in the *Book of Epistles* was not a pro-Persian political figure, whereas the Georgian prince captured near Nineveh fought on the side of Iran. Therefore, the question of the origin of the prince referenced by Theophanes remains unresolved.

The paper hypothesizes that the researchers' inability to solve the problem must be due to Theophanes' mistake: the latter interpreted the phrase "Georgian Prince" used by him, presumably from a Pahlavi source, as personal name "Varsamouse". So, it is obvious: the search for a prince with this name will not yield any results, it does not come from the primary source.

The paper will present evidence supporting the author's perspective.

Key words: Theophanes, „*Chronographia*“, *Barsamouses*, *the prince of the Iberians*